

საბაზო საფეხურის პროგრამა

მეორე უცხოური ენა (რუსული)

საბაზო საფეხურის წლიური გეგმა სარეკომენდაციო ხასიათისაა და აჩვენებს სტანდარტი საბაზო საფეხურის მეორე უცხოურ ენის პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა და აჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების შესაძლო გზებს. პროგრამა შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

- წლიური სასწავლო თემების სანიმუშო განაწილება წლების მიხედვით;
- თემატური გეგმის ზოგადი სქემა - იგი აჩვენებს, როგორ უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემები სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად;
- თემატური გეგმის კონკრეტული ნიმუში (თემისთვის «Как ты проводишь свободное время?»);
- დანართი: თემატური ერთეული «Как ты проводишь свободное время?» - დეტალური დამუშავების ნიმუში;

სასწავლო თემების სანიმუშო განაწილება წლების მიხედვით

ქვემოთ წარმოდგენილი თემების ჩამონათვალი და ცალკეული თემის ფარგლებში შერჩეული ენობრივი მასალა და ტექსტის ტიპები სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. დასაშვებია თემებისა და ენობრივი საკითხების შეცვლა, საბაზო საფეხურის ერთი კლასის პროგრამიდან მეორეში გადანაცვლება, ჩამონათვალის შევსება თუ შემცირება. მთავარია, საბაზო საფეხურზე შერჩეული თემატიკა პასუხობდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ისინი უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ინტერესებსა და ენობრივ შესაძლებლობებს;
- საბაზო საფეხურის სამივე კლასის თემატიკა მთლიანობაში უნდა შეესაბამებოდეს საბაზო საფეხურის სტანდარტის თემატურ ჩარჩოს.

თემები მე-7 კლასისთვის

1. თავისუფალი დრო (კონცერტი, მუსიკა, კინო, სპორტი, საყვარელი საქმიანობა და სხვ.);

პრიორიტეტული ენობრივი მასალა და ტექსტის ტიპები:

Как ты проводишь свободное время?

- ტექსტის ტიპები: песня, диалог, дидактизированный повествовательный текст, письмо другу/подруге
- ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: приветствие; обмен информацией о погоде, способе передвижения, досуге; выбор приоритетов; одобрение
- გრამატიკა: Творительный падеж с предложом с/со: определение предмета /лица.; Предложный падеж с предложениями в/на, обозначающий передвижение на чём-либо;
Атрибутивные отношения: согласованное определение;

<p>➤ ლექსიკა: Заниматься спортом, играть в футбол\баскетбол\ волейбол...; кататься на велосипеде\мопед\ коньках\ санках\ лыжах...; гулять с собакой\ приехать с друзьями\ говорить с сестрой...</p>
<p>2. ყოველდღიური ყოფა (დღის რეჟიმი, ყოველდღიური საქმიანობები - ჭამა, ჩაცმა, მეცადინეობა, სპორტზე/მუსიკაზე სიარული, ტრანსპორტით მგზავრობა, საყიდლებზე წასვლა და სხვ.);</p> <p>პრიორიტეტული ენობრივი მასალა:</p> <p>Режим дня</p> <p>➤ ტექსტის ტიპები: режим дня, диалог, повествовательный текст, анкета</p> <p>➤ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: обмен информацией о времени, возрасте, активности, выражение собственного мнения/отношения к происходящему: необходимость, обязательность действия, выражение намерения; выражение эмоций: сожаления, радости</p> <p>➤ გრამატიკა: Выражение времени: винительный падеж с предлогом в; родительный падеж с числительными 1 – 24; глаголы движения, вид глагола, наречия</p> <p>➤ ლექსიკა: идти – ехать; ходить – ездить; часто, редко, обычно и т.д., когда? (какого числа?, в котором часу?); куда?; бассейн, спорт, танцы и т.д.</p>
<p>3. დღესასწაულები - (მილოცვა, ახალი წელი, დღესასწაულების კალენდარი - სეზონები და დღესასწაულები; კერძები, დეკორაციები);</p> <p>С Новым годом!</p> <p>პრიორიტეტული ენობრივი მასალა და ტექსტის ტიპები:</p> <p>➤ ტექსტის ტიპები: поздравительная открытка, диалог, повествовательный текст, список продуктов</p> <p>➤ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: поздравление, пожелание, выражение эмоций: радости, удовольствия, удивления, выражение приоритета</p> <p>➤ გრამატიკა: дательный и винительный падеж существительных и личных местоимений, сложные сказуемые (хочу + инфинитив)</p> <p>➤ ლექსიკა: подарить, поздравить, пожелать, пригласить, купить, приготовить, нравится (что?) и т.д.</p>
<p>4. სასკოლო გარემო და სასკოლო საქმიანობა (სკოლის შენობა, სკოლის ეზო, საკუთარი და უცხოელი თანატოლების გაკვეთილების ცხრილი, სასკოლო საქმიანობები, საყვარელი საგანი, კლასგარეშე აქტივობები, სასკოლო არდადეგები);</p> <p>Один день в моей школе</p> <p>პრიორიტეტული ენობრივი მასალა და ტექსტის ტიპები:</p> <p>➤ ტექსტის ტიპები: расписание уроков, диалог, повествовательный текст</p> <p>➤ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: выражение приоритета, обмен информацией о времени, активности, проявление интереса к происходящему</p> <p>➤ გრამატიკა: порядковые числительные, родительный падеж порядковых числительных,</p> <p>➤ ლექსიკა: первый урок ..., пятое\тридцатое ноября, какое (число), когда?, математика, родной язык, русский\иностранный язык, естествознание, точные науки, физкультура, спортплощадка, спортивный зал, родительское собрание, присутствовать, электронный журнал, успеваемость</p>
<p>5. ბუნება და ცხოველები (შინაური და გარეული ცხოველები, ცხოველებზე ზრუნვა);</p> <p>პრიორიტეტული ენობრივი მასალა და ტექსტის ტიპები :</p> <p>О братьях наших меньших</p> <p>➤ ტექსტის ტიპები: диалог, повествовательный текст, заметка для журнала «Юный натуралист»</p> <p>➤ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: выражение эмоций: удовольствия, страха, равнодушия; выражение собственного мнения, согласия, несогласия, выражение необходимости, обязательности действия, выражение намерения;</p>

- გრამატიკა: творительный падеж и предложный падеж существительных, согласование существительного с прилагательным в именительном падеже, сложные сказуемые (можно/нужно + инфинитив)
- ლექსიკა: питается, обитает, живёт, размножается, умный, красивый, опасный, агрессивный, на свободе, в неволе, два/... детёныша, обычно, часто, иногда, всегда

თემები მე-8 კლასისთვის

1. ჩემი მეგობრები (გარეგნობა და ჩაცმულობა, ხასიათი, ჰობი, ინტერესთა სფერო);

პრიორიტეტული ენობრივი მასალა და ტექსტის ტიპები:

Модный приговор

- ტექსტის ტიპები: интервью, анкета, диалог, дидактизированный текст-описание
- ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: обмен информацией о человеке, его возрасте, внешности, характере, сфере интересов
- გრამატიკა: родительный падеж с предложом у (в значении принадлежности), существительные с прилагательными в именительном падеже), творительный падеж существительных в значении рода деятельности, профессии, хобби, глаголы несовершенного вида
- ლექსიკა: высокий-низкий, полный-худой, светлые – тёмные, длинные – короткие, ходить, играть, увлекаться, заниматься, хочу стать и т.д.

2. სასკოლო ცხოვრება (კლასგარეშე აქტივობები, წრეები, კლუბები, სამოქალაქო აქტივობა, საქველმოქმედო აქციებში მონაწილეობა);

В школьном клубе

პრიორიტეტული ენობრივი მასალა:

- ტექსტის ტიპები: расписание школьных и внешкольных мероприятий, чат, письмо иностранному другу об участии в работе школьного клуба
- ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: активности, выражение собственного мнения/отношения к происходящему: проявление интереса, обмен информацией о том, кто откуда, какие языки изучает и т.д.
- გრამატიკა: наречия, родительный падеж с предложом из.
- ლექსიკა: какого числа?, в котором часу?, состоится, пройдёт, будет, концерт, спектакль, экскурсия, встреча, открытие, дискуссия в клубе и т.д.

3. დაბადების დღე (მილოცვა, საჩუქრები, აღნიშვნა);

პრიორიტეტული ენობრივი მასალა და ტექსტის ტიპები:

Скоро мой лучший день рождения!

- ტექსტის ტიპები: письмо о том, какой день рождения мечтает справить, поздравительная sms-ка, меню
- ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: интеракция в связи с действиями: заказ в ресторане\кафе,
- გრამატიკა: дательный и винительный падеж существительных и личных местоимений, сложные сказуемые (хочу + инфинитив), сложное будущее время
- ლექსიკა: дарить, поздравлять, желать, приглашать, заказать, отмечать, вечеринка, нравится (что?), в кафе, в ресторане, петь под караоке, танцевать, и т.д.

4. ჯანმრთელობა (ავად გახდომა, ექიმი, ექიმის გამოძახება, ექიმთან მისვლა, საავადმყოფო, წამალი, ავთიაქი, გამოჯანმრთელება);

პრიორიტეტული ენობრივი მასალა და ტექსტის ტიპები:

У врача

- ტექსტის ტიპები: დიალოგ, ინსტრუქცია
- ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: выражение эмоций и ощущений: скуки, грусти, физической боли, жара и озноба, выражение желаний, совет,
- გრამატიკა: дательный падеж+ слова категории состояния, выражающие физическое и душевное состояние человека, категория состояния, выражающая возможность, долженствование, необходимость; родительный падеж с предлогом у.
- ლექსიკა: можно, нельзя, надо, нужно, необходимо, мне плохо\ грустно\ больно\ ... \ меня знобит, болит, голова, рука, нога, живот и т.д.

5. ზაფხულის არდადეგები (დასასვენებელი ადგილები, აქტივობები, ზღვა, მთა, სოფელი, ამინდი).

Ты ездил на экскурсию?

- ტექსტის ტიპები: დიალოგ по телефону, повествовательный текст, письмо, запрещающие и предупреждающие знаки с подписями, плакат, постер
- ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: выражение частотности времени, длительности, локализации во времени и пространстве, направление движения, этикетные выражения, связанные с телефонным разговором
- გრამატიკა: Временные формы глаголов движения, однонаправленное движение; Винительный падеж существительных: объекта, места с предлогами в/на; Творительный падеж с предлогом с/со: определение предмета /лица.; Предложный падеж с предлогами в/на: места, обозначение средства передвижения;
- ლექსიკა: ехать, идти, быть/находиться, убирать, купить, есть, пить, сидеть, петь, рюкзак, гитара, песня, друзья, билет, продукты, лес, озеро, дорога, солнце, экология, мешки для мусора, указательные таблички и т.д.

თემები მე-9 კლასისთვის

1. ჯანსაღი ცხოვრების წესი და მავნე ჩვევები (სპორტი, გაწონასწორებული/ჯანსაღი კვება, ჰიგიენა); პრიორიტეტული ენობრივი მასალა და ტექსტის ტიპები:

Курите ли вы?

- ტექსტის ტიპები: заметка о проведенной дискуссии, адаптированный публицистический текст
- ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: локализация во времени и пространстве, описание сопутствующих обстоятельств
- გრამატიკა: сложное предложение с придаточным определительным, согласование существительного с прилагательным в различных падежах
- ლექსიკა: легкие, горло, гортань, поражение тканей, болезнь, раковые клетки, пропаганда здорового образа жизни, запрет на, осуществление проекта, заграничный опыт и т.д.

2. მოგზაურობა და ტურიზმი (მოგზაურობის დაგეგმვა, სამოგზაურო აღჭურვილობა, მგზავრობა მატარებლით/თვითმფრინავით/გემით, სადგური, აეროპორტი, ღირსშესანიშნაობები, ექსკურსია, ტურისტული სააგენტოები);

პრიორიტეტული ენობრივი მასალა:

Достопримечательности Москвы

- ტექსტის ტიპები: рекламный ролик, диалог, письмо, репортаж

<ul style="list-style-type: none"> ➤ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: локализация во времени и пространстве, описание сопутствующих обстоятельств ➤ გრამატიკა: Родительный падеж множественного числа, предложный падеж порядковых числительных, творительный падеж места ➤ ლექსიკა: построен (а, о, ы), основан(а, о, ы), упоминается, является, смотровая площадка, МГУ, пешеходная улица, состоит из, ВДНХ, дворец, храм, пункт назначения и т.д.
<p>3. ეკოლოგია და გარემოს დაცვა (ბუნების დაცვა, გარემოს დაბინძურება, ნაკრძალები, ბუნებრივი კატასტროფები, სამაშველო სამსახური, პოლიცია);</p> <p>Природные катастрофы</p> <p><i>პრიორიტეტული ენობრივი მასალა და ტექსტის ტიპები:</i></p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ტექსტის ტიპები: заметка для газеты, отрывок из телешоу, чат ➤ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: локализация во времени и пространстве, описание сопутствующих обстоятельств, ➤ გრამატიკა: вид глагола, сложные предложения с придаточным места и времени ➤ ლექსიკა: наводнение, ураган, спасательные службы, жертвы, разрушения и т.д.
<p>4. რუსული ენა მსოფლიოში (რუსულენოვანი დიასპორები ყოფილი დსთ-ს ქვეყნებში, ევროპაში და ამერიკაში, ეროვნული დღესასწაულები, კულტურულ-ისტორიული ცნობები, საერთაშორისო ორგანიზაციები);</p> <p><i>პრიორიტეტული ენობრივი მასალა და ტექსტის ტიპები:</i></p> <p>Русские нобелевские лауреаты в литературе</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ტექსტის ტიპები: биография, анкета, автобиография ➤ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: обмен информацией о личности, его заслугах, этапах жизни и т.д. ➤ გრამატიკა: предложный и родительный падеж числительных, родительный падеж множественного числа, сложное предложение с придаточным определительным, прошедшее время глагола ➤ ლექსიკა: родился, учился, женился, умер\погиб\скончался, создал, произведение, роман, сборник рассказов, был удостоен, была вручена, отказался от и т.д.
<p>5. პროფესიული ორიენტაცია (პროფესიები, ხელობები, საქმიანობები, სხვადასხვა პროფესიის ცნობილი წარმომადგენლები, პროფესიული სასწავლებელი);</p> <p>Как Вы выбрали свою профессию?</p> <p><i>პრიორიტეტული ენობრივი მასალა და ტექსტის ტიპები :</i></p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ტექსტის ტიპები: биография, анкеты опроса, текст презентации ➤ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები: обмен информацией о личности, его заслугах ➤ გრამატიკა: творительный падеж существительных, сложное предложение с придаточным условным ➤ ლექსიკა: по данным опроса, хочет стать\быть, учитывать\учесть, способности, желания, ответственность и т.д.

თემატური გეგმის ზოგადი სქემა

სასწავლო თემის გეგმა უნდა შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისაგან:

თემის სათაური:	სასწავლო საათების რაოდენობა
თემის ენობრივი საკითხები	
<u>Речевая деятельность (სამეტყველო მოქმედებები)</u>	<u>Грамматика (გრამატიკა)</u>
<u>Лексика (ლექსიკა)</u>	
ტექსტები კომუნიკაციურ-ენობრივი უნარების განსავითარებლად	ზოგადი ცნებები
Аудирование	
Понимание прочитанного	
Грамматика в контексте	
Говорение	
Коммуникативное письмо	
საკვანძო შეკითხვები	
იდები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისათვის	
შეფასების ინდიკატორები	
მკვიდრი წარმოდგენები	

თემატური გეგმის კომპონენტებიდან გამოვყოფთ იმ ოთხ მნიშვნელოვან ერთეულს, რომლებიც უზრუნველყოფს თემატური სასწავლო მასალის სტანდარტებთან დაკავშირებას, სწავლა-სწავლების პროცესის სტანდარტის მიზნებისკენ წარმართვას. ეს ერთეულებია:

- **მკვიდრი წარმოდგენები** - ისინი აჩვენებს იმ ზოგად ცოდნა-წარმოდგენებს, რომლებიც უნდა ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს ენის სწავლის პროცესში. მკვიდრი წარმოდგენები საერთოა ყველა თემისათვის.
- **ზოგადი ცნებები** - განსაზღვრავს სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარე ცოდნას, რომელსაც მოსწავლე სასწავლო საქმიანობის შედეგად უნდა დაეუფლოს.
- **საკვანძო შეკითხვები** - მოსწავლის წინარე ცოდნას აკავშირებს ცნებებთან და, როგორც ვექტორები, თემის სწავლა-სწავლების პროცესს შედეგებისკენ მიმართავს.
- **შეფასების ინდიკატორები** - ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში.

შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.

- **შემაჯამებელი კომპლექსური ხასიათის**, ანუ საპროექტო ტიპის დავალებები - ამ ტიპის დავალებები ხელს უწყობს თემის ფარგლებში შეძენილ ცოდნათა თუ უნართა ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას.

ზემოთ წარმოდგენილი სქემატური თემატური გეგმის მოდელი ტიპობრივია - იგი ნებისმიერი რესურსის, მათ შორის, ნებისმიერი ენის სახელმძღვანელოს თემატური ერთეულის შინაარსს შეითავსებს და მას სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად დაასტრუქტურირებს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, სასწავლო თემის ასაგებად სტანდარტის მოთხოვნათა გათვალისწინებით განისაზღვრება თემის ფარგლებში გასავითარებელი კომუნიკაციური და ენობრივი უნარები და შეირჩევა შესაბამისი ტექსტები და ცნებები, მათ საფუძველზე დაზუსტდება ლექსიკურ-გრამატიკული საკითხები. ამის შემდეგ განისაზღვრება თემის საკვანძო შეკითხვები და შეფასების ინდიკატორები. საკვანძო კითხვები მაპროვოცირებელი შეკითხვებია, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას აკავშირებს ასათვისებელ, ახალ ცოდნასთან. შეფასების ინდიკატორები კი სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. ესგ-ს უცხოურ ენების პროგრამაში შემუშავებულია თემის შეფასების ინდიკატორთა ყალიბი, რომელიც მოიცავს 6 ძირითად ინდიკატორს. ესენია:

1. ინდიკატორი, რომელიც თემის ფარგლებში ტექსტის გაგების და სტრატეგიების გამოყენების უნარებს აფასებს ;
2. ინდიკატორი, რომელიც ზეპირი მეტყველებისა და შესაბამისი სტრატეგიების გამოყენების უნარებს აფასებს;
3. ინდიკატორი, რომელიც წერიტი მეტყველებისა და წერიტი სტრატეგიების გამოყენების უნარებს აფასებს;
4. ინდიკატორი, რომელიც მეტაკოგნიტურ უნარებს, ანუ სწავლის პროცესზე დაფიქრების უნარებს აფასებს;
5. ინდიკატორი, რომელიც განსხვავებული სოციოკულტურული რეალიების ამოცნობა-განაალიზების უნარებს ამოწმებს;
6. ინდიკატორი, რომელიც თემის ფარგლებში შეძენილი სხვადასხვა ცოდნის ინტეგრირებული გამოყენების უნარს ამოწმებს საქმიანი იდეების განხორციელებლად.

თემის სწავლა-სწავლების დასაგეგმად ასევე მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების მეშვეობით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის

ფარგლებში ასათვისებელ ცოდნათა დინამიკურ ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

უცხოურ ენის პროგრამა გამოკვეთს ასევე მკვიდრ წარმოდგენებს, ანუ იმ ზოგად ცოდნა-წარმოდგენებს, რომლებიც უნდა ჩამოუყალიბდეს მოსწავლეს უცხოური ენისა და კულტურის სწავლის პროცესში. მკვიდრი წარმოდგენები საერთოა ყველა თემისათვის.

ზემოთ წარმოდგენილი თემატური გეგმის მოდელი ტიპობრივია - იგი ნებისმიერ სასწავლო თემას სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისს სტრუქტურას შესძენს.

DRAFT

თემატური გეგმის კონკრეტული ნიმუში

7 კლასი

Тематическая единица 4

<p>Тема: Как ты проводишь свободное время?</p>	<p>Количество часов</p>
<p>თემის ენობრივი საკითხები</p>	
<p>Интенции: Приветствие: Привет! Как дела? Как съездили в ? Обмен информацией о погоде, способе передвижения, досуге Какая (была) погода? На чём поехали? На автобусе/ маршрутке/ электричке... Что ты делаешь в свободное время? Как провели свободное время? Выбор приоритетов Мне (не)нравится (что делать?), я (не)люблю (что делать?).... Одобрение Ты катаешься на коньках? Здорово! Ты поешь в ансамбле? Молодец, отлично!</p>	<p>Грамматика Творительный падеж с предлогом с/со: определение предмета /лица; Предложный падеж с предлогами в/на, обозначающий передвижение на чём-либо; Атрибутивные отношения: согласованное определение; Конструкции: а) (Кто/что?) с (кем/чем?) <i>Модель: Я живу с родителями. Мы с другом поехали в Бакуриани.</i> б) Любить + (что делать?) <i>Модель: Я люблю читать книги, а он любит плавать в бассейне.</i> в) (Что делать?) + (на чём?) <i>Модель: Они катаются на санках/велосипеде. Он приехал на поезде.</i></p>
<p>Лексика (ლექსიკა) Семантические поля понятий «свободное время», «спорт», «транспорт», «погода» Заниматься спортом, играть в футбол\баскетбол\ волейбол\хоккей\теннис\гольф\в компьютерные игры\шашки\шахматы\лото Кататься на велосипеде\мопед\ коньках\ санках\ лыжах\ роликах, купаюсь\купается в реке Гулять с собакой\ приехать с друзьями\ говорить с сестрой\ кататься с друзьями\находиться с родителями</p>	
<p>ტექსტები კომუნიკაციურ-ენობრივი უნარების განსავითარებლად</p>	<p>ზოგადი ცნებები</p>
<p>Тексты для прослушивания: 1. «Неуклюжий медвежонок». Слова и музыка Валерия Уланова.; 2. Диалог-знакомство мальчика-лыжника с русским ровестником на зимнем курорте в Бакуриани и т.д.;</p>	<ul style="list-style-type: none"> • ტექსტი ტიპები: <ul style="list-style-type: none"> ○ სიმღერა ○ თემატური დიალოგი • მოსმენის სტრატეგიები
<p>Тексты для чтения: 1. Дидактизированный текст, кто как проводит свободное время;</p>	<ul style="list-style-type: none"> • ტექსტის ტიპი: მონოლოგები; • კითხვის სტრატეგიები;
<p>გრამატიკა კონტექსტში Диалог для прослушивания; Дидактизированный текст для чтения</p>	<ul style="list-style-type: none"> • ტექსტის ტიპი: თემატურ დიალოგი; • დიდაქტიზებული ტექსტი; • გრამატიკის სწავლის სტრატეგია;
<p>Тексты для говорения: 1. Рассказ о себе и своих друзьях: что любят делать в свободное время;</p>	<ul style="list-style-type: none"> • ტექსტი ტიპი: მონოლოგი; სიტუაციური დიალოგი; • ზეპირი მეტყველების სტრატეგიები;

<p>2. Диалог с опорой на карточки о том, кто что любит делать в свободное время;</p> <p>3. Пересказ истории знакомства Анзора и Бориса с опорой на прослушанный диалог;</p> <p>4. Составление текста о своем знакомом и о том, что он любит делать в свободное время;</p>	
<p>Тексты для письма:</p> <ul style="list-style-type: none"> • Письмо другу\подруге о том, как вы и три ваших друга\подруги проводят свободное время.; <p>В зависимости от выбора итогового задания:</p> <ul style="list-style-type: none"> • Текст для альбома «Наше свободное время»/презентации в PowerPoint/фотовыставки; • Анкеты для опросов. 	<ul style="list-style-type: none"> • ტექსტის ტიპი: წერილი; თხრობითი ტექსტი; • წერის სტრატეგიები.
საკვანძო შეკითხვები	
<ol style="list-style-type: none"> 1. როგორ მოვიქცე თავისუფალი დროის თემაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტის გასაგებად? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? (2. როგორ მივიღო მონაწილეობა სხვადასხვა ტიპის ინტერაქციაში თავისუფალი დროის შესახებ? როგორ შევასრულო საკომუნიკაციო მიზნის შესაბამისი სამეტყველო აქტები? 3. როგორ დაწერო სხვადასხვა ტიპის ტექსტები თავისუფალი დროის თემატიკაზე? 4. როგორ გადავლახო სიმძნელები? როგორ გავაუმჯობესო მიღწევები? 5. რით ჰგავს, რით განსხვავდება ჩვენი და უცხოენოვანი თანატოლების დროის გატარებასთან დაკავშირებული ზნე-ჩვეულებები? 6. როგორ გამოვიყენო თავისუფალი დროის თემაზე მუშაობისას შეძენილი ენობრივ-შინაარსობრივი ცოდნა და გამოცდილება საქმიანი იდეის განსახორციელებლად, კულტურათა დიალოგის ხელშესაწყობად? 	
<p>იდეები შემაჯამებელი დავალებებისათვის</p> <ul style="list-style-type: none"> • Оформление альбома «Наше свободное время»; <p>დამატებითი იდეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • Презентация в PowerPoint «Как я провел время в»; • Оформление фотовыставки «Наши развлечения»; • Опрос родителей и родственников о том, как они проводили свободное время в детстве/молодости; • Интервью с завучем/директором/ тренером/ учителем пения и т.д. о том, как они проводили свободное время в детстве/молодости. 	
<p>შეფასების ინდიკატორები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სტრატეგიებისა და ენობრივი ცოდნის გამოყენებით იგებს საინფორმაციო-შემეცნებით ტექსტებსა და დიალოგებს თავისუფალი დროის თემატიკაზე (1, 2, 3, 4, 5); 2. თემაში ათვისებული გრამატიკული, ლექსიკური და სამეტყველო მოქმედებების გამოყენებით იღებს მონაწილეობას თავისუფალი დროის თემასთან დაკავშირებულ საუბრებსა და ინტერვიუებში (6, 10); 	

3. წერის სტრატეგიებისა და ახლად შექმნილი ლექსიკურ-გრამატიკული ცოდნის გამოყენებით თხზავს მცირე ზომის ტექსტებს თავისუფალი დროის თემატიკაზე (7, 8, 9) ;
4. ანალიზებს და აფასებს სასწავლო აქტივობებში გამოყენებული სტრატეგიების ეფექტიანობას, ადგენს სისუსტეებს და მათი გაუმჯობესების გზებს (5, 10);
5. განსაზღვრავს თავისუფალ დროის გატარებასთან დაკავშირებული სოცი-კულტურულ თავისებურებს (3, 11).
6. თავისუფალი დროის შესახებ თემატიკის დამუშავებისას შექმნილი ენობრივ-შინაარსობრივი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით განახორციელებს საქმიან იდეას, ხელს უწყობს კულტურათა დიალოგს (11, 12);

მკვიდრი წარმოდგენები

- მოსმენის, კითხვის, ლაპარაკის და წერის უნარების დაუფლებას ხშირი პრაქტიკა უწყობს ხელს.
- ყოველდღიურ, მათ შორის, სასკოლო ცხოვრებაში უცხოური ენის პრაქტიკისთვის უამრავი შემთხვევა გვეძლევა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ *(მაგ. გაგონილი რეპლიკების გონებაში გამოთქმა, უცხოენოვანი სიმღერის სწავლა, საპროექტო იდეის განხორციელება, მეგობრებთან უცხოურ ენაზე „chat“, და სხვ.)*.
- ტექსტის გაგება არ ხდება ერთი წაკითხვით/მოსმენით; ტექსტის შინაარსს ეტაპობრივად ვიაზრებთ ჩვენს გონებაში არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით.
- სტრატეგიებზე დაფიქრება და მათი გააზრებულად გამოყენება გვიადვილებს ენის დაუფლებას და გვეხმარება მიღწევების გაუმჯობესებაში.
- ნასწავლი სტრატეგიები დაგვეხმარება ნებისმიერი სხვა ენის უფრო ეფექტიანად ათვისებაში.
- უცხო ენის შესწავლა გვეხმარება საკუთარი ენისა და კულტურის უკეთ გაგებაში.

თემის” Как ты провел каникулы? “დეტალური დამუშავების ნიმუში

შენიშვნა: თემა დამუშავებული სტანდარტის მეთოდოლოგურ ნაწილში წარმოდგენილი „პროცესის ტაბულის“ გამოყენებით

რუსული ენა

VII კლასი

თემა 3. Как ты провел каникулы?

	თემა: «Как ты проводишь свободное время?»
	მოსმენა- გაგების პროცესი
ცნებები	საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვიქცე ტურისტული სიმღერის შინაარსის გასაგებად? რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ? რატომ არის მნიშვნელოვანი მეტაკოგნიტური უნარები?
სიმღერა	<p>ტექსტი/ტექსტები:</p> <p>«Неуклюжий медвежонок», слова и музыка Валерия Уланова. https://www.youtube.com/watch?v=SSofD4QFht0</p> <p>Неуклюжий медвежонок Жил в берлоге с мамой, папой. Был пушистый, как котёнок, От природы косолапый.</p> <p>Никогда медведь не плакал, Знал он песен очень много. И, притопывая лапой, Пел про синие сугробы.</p> <p>Но однажды направляясь По тропинке к бабке старой, Мишка на лесной полянке Повстречал людей с гитарой.</p> <p>Мишка долго-долго слушал, Как они тихонько пели. А потом следил, как дружно С аппетитом кашу ели.</p> <p>Захотелось мишке тоже Кашу есть и спать в палатке, И носить рюкзак тяжёлый И штаны с большой заплаткой.</p>

	<p>Попрощавшись с мамой, с папой, (Значит прежней жизни крышка), Помахав прощально лапой, Убежал к туристам мишка.</p>
	<p>ბიჯები და სწავლა- სწავლების სტრატეგიები</p>
	<p>ფაზა: მოსმენამდე საკვანძო შეკითხვები: როგორ მოვემზადო ტექსტის მოსასმენად?</p>
<p>ტექსტი სტრუქტურა</p> <p>მოსმენის წინარე სტრატეგიები</p> <ul style="list-style-type: none"> • წინარე ცოდნის მობილიზება; • ვარაუდების გამოთქმა; • გამოცნობა 	<p>მოსმენის წინარე დავალებები: Мотивационные задания: Задание 1. Посмотрите на иллюстрацию и ответьте на вопросы. (Как вы думаете, песня будет весёлая или грустная? О чём будет песня ? и т.д.); Задание 2. Опишите иллюстрацию к песне.; Задание 3. Прослушайте первый куплет и скажите, оправдались ли ваши предположения относительно содержания песни. Лексические задания: Задание 4. Соедините слова с их объяснением.; Задание 5. Подпишите слова под иллюстрациями.; Задание 6. Вставьте в предложения слова, которыми подписали иллюстрации.; Задание 7. Заполните кроссворд.;</p> <p>მეთოდური კომენტარი ბიჯი 1. დავალების ნათლად გააზრება და დაზუსტება პირობის გაანალიზების გზით; საჭიროებისამებრ, დამატებითი დაზუსტებების მოთხოვნა; ბიჯი 2. სხვადასხვა ხერხით შინაარსის წინასწარ განჭვრეტა (მაგ., ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციებზე, სათაურზე დაყრდნობით); ბიჯი 3. ტექსტის გასააზრებლად საჭირო წინარე ცოდნის (ენობრივი, ტექსტობრივი, თემასთან დაკავშირებული) გახსენება-გააქტიურება; საჭიროებისამებრ (ტექსტის სირთულის მიხედვით) რამდენიმე აუცილებელი საკვანძო სიტყვის/მყარი შესიტყვების დამუშავება. მასწავლებელი კითხულობს, რამდენად ნათელია მოსწავლისთვის პირობა. საჭიროებისამებრ მასწავლებელი აზუსტებს პირობას იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ზუსტად გათვალონ თავისი მოქმედებები დავალების შესრულებისას. ეს ეხება ყველა ტიპის დავალების პირობას. • შემდგომ საჭიროა მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება და, ერთდროულად, მისი დაინტერესება (მოტივირება) დავალებით. მოსწავლის მიერ ცოდნის მობილიზება გულისხმობს ორი ტიპის ქმედებას: 1) იმ წინარე ენობრივი, ლექსიკური თუ სხვა ცოდნის გონებაში მოძიება-გააქტიურებას, რომელიც უკავშირდება დასამუშავებელ ახალ საკითხებს; 2) საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიებას სათანადო რესურსებში. დავალებები 1 და 2 ხდება ვარაუდის გამოთქმა ილუსტრაციაზე დაყრდნობით და ილუსტრაციის აღწერა. ეს შეამზადებს მოსწავლეებს, როგორც მოსასმენი მასალის აღსაქმელად ისე გაუადვილებს სასაუბრო სავარჯიშოების შესრულებას. დავალება 3 ამოწმებს გამოთქმულ ვარაუდებს. ამ დავალების შესრულებისას მოსწავლეები ისმენენ სიმღერას. შემდეგი დავალებების ბლოკი (დავალებები 4-7) ემსახურება ძველი ლექსიკური ერთეულების გამეორებას და ახალი ლექსიკური ერთეულების გაცნობა-დამახსოვრებას.</p>
	<p>ფაზა: მოსმენის დროს საკვანძო შეკითხვა: როგორ მოვიქცე, რომ უკეთ გავიგო ტექსტი? როგორ გავიადვილო ტექსტის გაგება?</p>

<p>სელექციური მოსმენა;</p> <p>შეკითხვების დასმა; მონაკვეთების ერთმანეთთან დასაკავშირებლად;</p> <p>ინფორმაციის დაჯგუფება</p>	<p>მოსმენის სტრატეგიები:</p> <p>Задания, направленные на развитие фонематического слуха и заучивание текста песни наизусть:</p> <p>Задание 8. Прослушайте песню и пронумеруйте словосочетания в том порядке, в каком их услышите.;</p> <p>Задание 9. Прослушайте первый куплет песни и повторите все знакомые слова и словосочетания, которые вы слышали.;</p> <p>Задание 10. Прослушайте первый куплет песни и повторите строки, которые вы слышали.</p> <p>Задание 11. Прослушайте первый куплет песни и впишите пропущенные слова.;</p> <p>Задание 12. Пойте первый куплет вместе с исполнителем.; и т.д.</p> <p>Работа над пониманием смысла текста:</p> <p>Задание 13. Прочитайте вопросы. Прослушайте песню и ответьте на вопросы. (<i>Вопросы по сюжету песни</i>);</p> <p>Задание 14. Выберите правильный ответ. (<i>Тест множественного выбора</i>);</p> <p>Задание 15. Прослушайте песню и пронумеруйте картинки в нужной последовательности.;</p> <p>Задание 16. Прослушайте песню и пронумеруйте строки в нужной последовательности.</p>
	<p>მეთოდური კომენტარი</p> <p>ბიჯი 4. პირველი მოსმენა - ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად გაცნობითი მოსმენა;</p> <p>ბიჯი 5. სხვადასხვა ტიპის აქტივობის გამოყენებით ტექსტის მრავალჯერადი მოსმენა მთლიანი შინაარსის ეტაპობრივი კონსტრუირებისათვის;</p> <p>დავალება 8 გულისხმობს სიმღერის პირველ მოსმენას თავიდან ბოლომდე. ამ დროს მოსწავლეები ყურადღებას ამახვილებენ მხოლოდ ნაცნობ სიტყვებსა და გამოთქმებზე, რაც გაუადვილებთ მათ ტექსტის ზოგადი შინაარსის გაგებას. ასეთ მოსმენას გაცნობითი მოსმენა ეწოდება. დავალებების ბლოკი (დავალებები 9-12) გულისხმობს სიმღერის პირველი კუპლეტის გაგებას და ზეპირად სწავლას. ანალოგიურად მუშავდება დანარჩენი კუპლეტები.</p> <p>დავალებები 13-16 გამოიყენება მრავალჯერ მოსმენილი ტექსტის შინაარსის დეტალური გაგებისთვის. დავალება 13 გულისხმობს შეკითხვების გვერდით მოსმენისას ჩანიშვნების გაკეთებას იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ზეპირად უპასუხონ ამ შეკითხვებს მოსმენის დასრულებისას. აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსწავლეების მიერ შეკითხვების წინასწარ წაკითხვა და მათი გაგება, რაც მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გადაამოწმოს.</p> <p>დავალება 15 მიმართულია მოსწავლის მიერ სიმღერის სიუჟეტში ასახული მოქმედებების თანმიმდევრობის გაგებას, ხოლო შემდეგი დავალება სიმღერის დამახსოვრებას ემსახურება.</p>
	<p>ფაზა: მოსმენის შემდეგ</p> <p>საკვანძო შეკითხვები: როგორ გავიგე ტექსტი? რით უკავშირდება ჩემს გამოცდილებას? რამ შემაფარხა გაგების პროცესში? რატომ ვერ გადავჭერი მოსასმენი პრობლემა? როგორ უნდა გადაემჭრა ეს პრობლემა? რამ შემიწყო ხელი წარმატებით მოსასმენი ამოცანის წარტმაცებით გადაჭრაში?</p>
<p>სოციოკულტურული</p>	<p>Задание 17. Заглядывайте в заполненный вами текст песни и пойте её вместе с исполнителем.</p> <p>Задание 18. Пойте песню под караоке.</p> <p>Задание 19. Найдите в тексте песни смешные моменты и прочитайте их вслух.</p> <p>Задание 20. Опишите устно, какую иллюстрацию вы бы нарисовали к песне.</p> <p>Задание 21. Ответьте на вопросы.</p>

თავისებურები;	<p>a) Скажите, какие песни вы поете на экскурсии? b) Когда, в каких случаях поют песни наши школьники? c) Есть ли у нас похожий жанр туристической песни? d) Понравилась ли вам песня и почему?</p>
შეჯამება;	<p>e) Какие песни вы предпочитаете? Задание 22. Ответьте на вопросы.</p>
მეტაკოგნიტური პაუზა	<p>a) У вас было задание, прослушайте первый куплет песни и повторите строки, которые вы услышали. Как вы думаете, нужно ли понимать смысл всех слов, чтобы повторить предложение? b) Что надо сделать в первую очередь, чтобы ответить на вопросы по содержанию песни? Что следует сделать потом? и т.д.</p>
სწავლის პროცესზე დაფიქრება; გამოყენებული სტრატეგიის შეფასება	<p>მეთოდური კომენტარი ბიჯი 6. მოსმენილის დაკავშირება საკუთარ გამოცდილებასთან; განცდილის, ნააზრევის გაზიარება (ენის ფლობის დაბალ საფეხურზე - მშობლიურ ენაზე); ბიჯი 7. მეტაკოგნიტური პაუზა: დაფიქრება ტექსტის გაგებისათვის გამოყენებულ მიდგომებთან (მეტაკოგნიცია); დაფიქრება გამოყენებული სტრატეგიებზე, ეფექტიანობის შეფასება, შედარება სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებთან; გაგების პროცესის გაუმჯობესებისათვის შესაძლო გზების შეთავაზება/მითითება. დავალეები 17-21 ხელს უწყობს მოსმენილის დაკავშირებას მოსწავლეების გამოცდილებასთან; განცდილის, ნააზრევის გაზიარებას იმაზე თუ სად შეიძლება იმდერო ასეთი სიმღერა, მღერაინ თუ არა ქართველი მოსწავლეები ლაშქრობებზე თუ სხვანაირად ერთობიან. ბლოკი ხელს შეუწყობს კულტურათა შორის დიალოგის მიმართულების განვითარებას. მოსწავლეები გაიგებენ, რომ რუსეთში ტურისტული სიმღერა ცალკე ჟანრია, რომელიც ყოველთვის ძალიან პოპულარული იყო მოზარდებშიც და ზრდასრულებშიც. კულტურათა დიალოგს ემსახურება სიმღერის იუმორისტული მომენტების გარჩევა, სლენგური გამოთქმის „значит прежней жизни крышка» მნიშვნელობაზე ვარაუდების გამოთქმა და ა.შ. მოსმენის შემდეგ მასწავლებელმა აუცილებლად უნდა დააფიქროს მოსწავლეები ტექსტის გაგებისათვის გამოყენებულ მიდგომებზე (მეტაკოგნიტური სტრატეგია), რაშიც მას დავალეა 22 დაეხმარება. მოსწავლეები დაფიქრდებიან გამოყენებულ სტრატეგიებზე, შეაფასებენ მათ ეფექტიანობას. მოსწავლეები შეადარებენ საკუთარ სტრატეგიებს სხვების მიერ გამოყენებულ სტრატეგიებს და გამოკვეთენ საუკეთესოს. მოსწავლეები შესთავაზებენ ერთმანეთს შესაძლო გზებს გაგების პროცესის გასაუმჯობესებლად, ასევე მოისმენენ მასწავლებლის შეთავაზებას.</p>
	<p>გარდამავალი (პროდუცირებისათვის მოსამზადებელი) პერიოდი როგორ მოვიქცე ენობრივ-გრამატიკული მასალის ასათვისებლად? როდის რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?</p>
	<p>გარდამავალი ფაზა პროდუცირებისაკენ</p>
